


თაზო III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 9 575 000.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 162 575.9 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 22.6%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 2 096 068.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.9%-ია.

საქართველოს 2011-2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების I კვარტლის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 8 005 443.2 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 820 528.5 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 22.7%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 765 779.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.0%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 853 243.8 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 116 913.3 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 13.7%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 104 849.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89.7%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა


„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 297 090.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 80 382.0 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 27.1%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 80 747.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.5%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 419 223.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 144 752.1 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 34.5%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 144 692.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია.

2015 წლის I კვარტლის ასიგნებების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. 2015 წლის 1 იანვრიდან 500 ლარით გაიზარდა და განისაზღვრა თითოეულ ოჯახზე 1 000 ლარის ოდენობით საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებზე, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებზე გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის თანხა. სულ საანგარიშო პერიოდში საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 340.0 მლნ ლარი.

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული დატაკი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა, ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარების გაცემა. სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 151.2 მლნ ლარი;

- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე, გეგმიურ-ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგიული ოპერაციები მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 121.0 მლნ ლარი;

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;

- სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზნით გადამოწმდა 186 ობიექტი და აღწერილ იქნა 3 200-მდე ოჯახი. საანგარიშო პერიოდში დევნილთა ოჯახებს საკუთრებაში გადაეცათ 530 ბინა;

- დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა 447 დევნილი ოჯახი, განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 1 ობიექტის გამოსყიდვა - სულ 11 ბინა და შეძენილ იქნა 71 საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მიმდინარეობდა მენაშენეებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. N7-ში და კალაუზნის ქ. N22-ში, ქ. ქუთაისში, შმიდტის

ქუჩის N2-ში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N2-ში და ერისთავის ქ. N7-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსებიდან. გრძელდებოდა ქ.თბილისში, ახლადამშენებულ კორპუსებში, ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით ბინების შექმნა. აგრეთვე, სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 45 ობიექტს ქ. თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით.

- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით) მიმდინარეობდა წინა პერიოდში დაწყებული პროექტების განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, კომპაქტური ჩასახლების ადგილებში ინფრასტრუქტურისა და ბინების კეთილმოწყობას, საცხოვრებელი ბინების მშენებლობა-რეაბილიტაციას და სხვა. აღნიშნული პროექტების დასაფინანსებლად მიმართულ იქნა 9.5 მლნ ლარი.

- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 711 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 350 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);

- დასრულდა ქ. რუსთავში ქვემო ქართლის რეგიონული არქივის შენობის სამშენებლო, საჭირო სისტემებითა და შესაბამისი ინვენტარით მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული შენობა წარმოადგენს ბოლო ათწლეულების განმავლობაში პირველ შენობას, რომელიც მთლიანად საარქივო საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით იქნა აშენებული. ასევე, გაიხსნა საქართველოს ეროვნული არქივის 7 ადგილობრივი წარმომადგენლობა მარნეულის, დმანისის, ბორჯომის, ყაზბეგის, ბაღდათის, ახმეტისა და წალკის რაიონებში;

- საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების პროექტის ფარგლებში გაიხსნა სოფელ კორბოულის (საჩხერის მუნიციპალიტეტი) საზოგადოებრივი ცენტრი, განახლდა და ფუნქციონირება დაიწყო ხიდისთავისა და ნუკრიანის ბიბლიოთეკებმა, რომლებშიც სრულად ინტეგრირებულია საზოგადოებრივი ცენტრის კონცეფცია;

- დასრულდა სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ცენტრალური ოფისის მშენებლობა, რომელშიც ასევე განთავსებულია თბილისის პრობაციის ბიურო. საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვილ ბიუროს ახალ ოფისში პირობით მსჯავრდებულთათვის მოწყობილია თანამედროვე ტიპის სარეგისტრაციო სივრცე, ინდივიდუალური გასაუბრებისა და ჯგუფური თერაპიის ოთახები, პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგის კაბინეტები, ვიდეოკამერის სერვისი. აგრეთვე ყველა პირობაა შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 082 საჯარო და 239 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 102.0 მლნ ლარი;

- „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროგრამის ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წელს ჩართული იყო ინგლისური ენის 47 და ჩინური ენის 15 მოხალისე მასწავლებელი. ასევე, „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ პროგრამების ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში განაწილებული იყო 198 დამხმარე მასწავლებელი და 88 ტრენერ-მასწავლებელი;

- მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფესიულ კოლეჯებში დასაქმებული იყო 1 058 მანდატური, რომლებიც გადანაწილებულნი იყვნენ 401 საჯარო, 3 კერძო სკოლაში, 2 პროფესიულ სასწავლებელში და 1 უნივერსიტეტში;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საანგარიშო პერიოდში უზრუნველყო 1 108 საჯარო სკოლის 58 426 მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის დიდია;

- ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთის საჯარო სკოლების აბიტურიენტებსა და მასწავლებლებს უსასყიდლოდ გადაეცათ 2 238 ერთეული სხვადასხვა დასახელების ტესტების კრებული და დამხმარე სახელმძღვანელოები;

- დასრულდა ბულაშენის ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა. სამედიცინო ოთახის მოწყობის მიზნით 137 საჯარო სკოლისთვის განხორციელდა ოთახების შერჩევა და აზომვითი სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულ იქნა მონაწილეობა საერთაშორისო მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში. განხორციელდა სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება ევროპისა და აშშ-ის სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში.
- ხელი შეეწყო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასების, ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას.
 - „სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაიცა 430 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 308 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 31 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.
- სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 30 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 50 სასწავლო - საწვრთნო შეკრება სპორტის 45 სახეობაში. ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 90 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში და მოიპოვეს 138 მედალი (38 ოქრო, 42 ვერცხლი და 58 ბრინჯაო);
 - ოლიმპიური მოძრაობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში „ვორალბერგი-ლიხტენშტეინი - 2015“ ოთხი ქართველი სპორტსმენის (სნოუბორდი, სამთო თხილამურები, ფიგურული ციგურაობა) მზადების და მონაწილეობის ხარჯები;
 - სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა მთამსვლელთა ფედერაციისათვის სპეციალური აღჭურვილობა, ხოლო რეგიონებისათვის - სხვადასხვა სახის მცირეფასიანი სპორტული ინვენტარი.
 - განხორციელდა სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში რიცხული 120 სპორტსმენის, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებისა და კანდიდატების უზრუნველყოფის პროგრამა საცხოვრებლით, კვებით და სპორტული დარბაზებით;
 - პროგრამა „ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი - 2015“-ის ფარგლებში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატები (ფრენბურთი და ხელბურთი) და სარეიტინგო პირველობა ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღო ყველა იმ სპორტსმენმა, რომლებიც ჩართულნი არიან ოლიმპიური ფესტივალის მზადებაში. დაფინანსდა ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში (სპორტული ტანვარჯიში 4, ველოსპორტი 3, ძიუდო 2, მძლეოსნობა 6, ხელბურთი 3). საერთაშორისო ტურნირებზე და ტესტ-მატჩებზე მივლინებულ იქნენ ხელბურთის, ფრენბურთის, ძიუდოს, ველოსპორტის, ჩოგბურთისა და ტანვარჯიშის ნაკრებები.
 - გაგრძელდა 2015 წელს ქ. თბილისში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად (მათ შორის ოლიმპიური სტანდარტის დონის საცურაო აუზის ასაშენებლად) საჭირო ღონისძიებების დაფინანსება, რისთვისაც საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან საქართველოს მთავრობოს გადაწყვეტილებით ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 17.0 მლნ ლარი, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა - 10.6 მლნ ლარი.
 - ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ჯალმიანი, ზაქანი, ხადი და კაიშაური) მცხოვრები მოსახლეობის (3.1 ათასზე მეტი აბონენტი) მიერ 2014 წლის დეკემბერში და 2015 წლის იანვარ-თებერვალში მოხმარებული 3.9 მლნ მ³ ბუნებრივი აირის ღირებულება 1.6 მლნ. ლარის ოდენობით;
 - სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის, წყალსაცავების მშენებლობის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარებისა და

სატრანსპორტო საშუალებების შეძენის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის, მექანიკური სატუმბი სადგურებისა და სხვა ჰიდროკვანძების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერჯის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ კაპიტალის გასაზრდელად მიიმართა დაახლოებით 16.9 მლნ ლარი;

- 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში მოხსულმა მიწის ფართობმა შეადგინა 85 320 ჰა (მათ შორის 37 609 ჰა დამუშავებული იქნა შპს „მექანიზატორის“ და სხვა კონტრაქტორების მიერ, ხოლო ბენეფიციარების მიერ - 47 711 ჰა) მიწის ფართობი, რისთვისაც საანგარიშო პერიოდში სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირებისათვის მიიმართა 6.3 მლნ ლარი;

- აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობის დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიიმართა 2.9 მლნ ლარი, რაც მთლიანად მოხმარდა 2014 წლის ბოლოს გაცემული პოლისების ანაზღაურებას.

- აგროსექტორის ხელშეწყობა/განვითარების მიზნით, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, დასრულდა კასპის რაიონში მეტეხის სარწყავი სისტემის და ყარაღაჯის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია, რისთვისაც მიმართულ იქნა 2.4 მლნ ლარი;

- სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვის და ეპიზოოტიური კეთილსამედობის ფარგლებში განხორციელებულ იქნა: იმულებითი და პროფილაქტიკური ვაქცინაცია (ცოფის, ჯილეხის, თურქულის, ყვავილის და ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგოდ), სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუშები/სინჯები აღება, სხვადასხვა სახის ლაბორატორიული კვლევები და ვეტერინარული პრეპარატების უსაფრთხოების გეგმიური კონტროლი. აღნიშნულის დაფინანსების მიზნით მიიმართა 4.2 მლნ ლარი;

- მევენახეობა-მელვინეობის განვითარების ფარგლებში ქართული კომპანიების ხელშეწყობის მიზნით, ქართული ღვინოების პოპულარიზაცია და ახალი სამომხმარებლო ბაზრის ათვისებისათვის საჭირო ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართულ იქნა 1.4 მლნ ლარი;

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გზების მოვლა-შენახვაზე ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 82.6 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ გზების პერიოდულ შეკეთებაზე და რეაბილიტაციაზე - 9.8 მლნ ლარი.
- ✓ გზების მიმდინარე შეკეთებაზე და შენახვაზე ზამთრის პერიოდში - 9.5 მლნ ლარი.
- ✓ ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე - 40.3 მლნ ლარი.

- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 39.6 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 30.2 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 1.7 მლნ ლარი.
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) პროექტზე - 2.7 მლნ ლარი.

- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე პროექტების ფარგლებში ძირითადად მიმდინარეობდა: ჩოხატაურის, წალენჯიხის, ზესტაფონის და თერჯოლის წყალსადენის სისტემების რეაბილიტაცია - გაუმჯობესება; ოზურგეთის, ხობის, გურჯაანის, აბაშის, ახალციხის და ასპინძის, ასევე ქუთაისის, ფოთის და ანაკლიის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია; ურეკის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა. აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 12.5 მლნ ლარი, მათ შორის წყლის ინფრასტრუქტურის განახლებაზე - 2.8 მლნ ლარი, ხოლო ურბანული მომსახურების გაუმჯობესებაზე - 9.1 მლნ ლარი.

- ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე მიმართულ იქნა 5.4 მლნ ლარი.

- სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს გადაეცა 166 უძრავი ქონება, ხოლო თვითმმართველ ერთეულებს - 265 ობიექტი;

- საქართველოს ტურისტული პოტენციალის საერთაშორისო ბაზარზე ასახვის მიზნით ჩატარდა 9 პრეს და გაცნობითი ტური და ასევე, მონაწილეობა იქნა მიღებული შემდეგ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე: EMITT (თურქეთი); FITUR (ესპანეთი); Balttour (ლატვია); IMTM (ისრაელი); BIT (იტალია); HUNGEXPO 2015 (უნგრეთი); ITB (გერმანია); UITT (უკრაინა);

- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ 12 კომერციულ ბანკთან გაფორმდა ხელშეკრულებები, განხორციელდა პროგრამის ინდუსტრიული მიმართულების ბენეფიციარების პორტფელის ანალიზი, რომელშიც შეფასდა განსახორციელებელი ინვესტიციები და გაცემული სესხები ბენეფიციარი კომპანიების, დამფინანსებელი ბანკების, ეკონომიკური სექტორებისა და გამოსაშვები პროდუქციის მიხედვით. საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით, სააგენტოს მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები 5 ბენეფიციარ კომპანიასთან.

- 2015 წლის 17 ივნისიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების კოორდინირებული საქმიანობით განხორციელდა:

- ✓ საზოგადოებრივი მაუწყებლის სიგნალის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადამცემი DVB-T2-ის სტანდარტის სახელმწიფო მიწისზედა საეთერო-სამაუწყებლო ქსელის მშენებლობის სამუშაოები;

- ✓ 70 000 და მასზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ციფრული მაუწყებლობის ინდივიდუალური მიმღებების შექმნის პროცესი;

- ✓ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით დაიწყო საინფორმაციო კამპანია, კერძოდ: მომზადდა და მაუწყებლების სატელევიზიო არხებზე განთავსდა სარეკლამო ვიდეო კლიპები, ტიპოგრაფიულად დაიბეჭდა და მოსახლეობაში გავრცელდა საინფორმაციო ბუკლეტები;

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 11 პოლიტიკური პარტია;

- დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ტონგას სამეფოს შორის, გაიზარდა საქართველოს საელჩოების გადაფარვის არეალი. ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა 7 ხელშეკრულებასა და ოქმს, ხოლო ძალაში შევიდა 11 ხელშეკრულება. საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში და მათ ფარგლებში არსებულ ფონდებში, სამშვიდობო მისიებში.

- ძალაში შევიდა „საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ 2006 წლის 1 ივნისის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ოქმი. პარაფირებული იქნა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება სამხრეთ კორეასთან და ბელარუსთან.

- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე” შეთანხმების შესაბამისად 2015 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 15 მარტს გამოშვებული 440 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 400 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 5.919 პროცენტი სარგებლის გადახდით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, საიდანაც:

- ✓ 10 000.0 ათასი ლარი გადაფორმდა წლიური 8.0 პროცენტი სარგებლის გადახდით;

- ✓ 8 000.0 ათასი ლარი წლიური 8.25 პროცენტი სარგებლის გადახდით;

- ✓ 12 000.0 ათასი ლარი წლიური 8.625 პროცენტი სარგებლის გადახდით;


- ✓ 10 000.0 ათასი ლარი წლიური 9.125 პროცენტი სარგებლის გადახდით.

ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2015 წლის 15 მარტს განხორციელდა 2010 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 5 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- გრძელდებოდა ქართული ქვედანაყოფების მონაწილეობის მიღება ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო მისიაში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 13 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 11.2 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით


2014-2015 წლების I კვარტლის ხარჯების მუხლის ფაქტიური შესრულება



„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 344 336.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 330 185.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.9%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება

„ხარჯების“ საკასო შესრულების 18.7%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 15.8%-ს შეადგენს.

2011-2015 წლების შრომის ანაზღაურების შემადგენელი მუხლების ფაქტიური შესრულება



„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 209 587.1 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 180 310.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.0%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 10.2%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 8.6%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 30 794.9 ათასი ლარი;
- მივლინებები - 16 704.7 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 40 032.0 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 3 009.4 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 8 820.6 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 7 172.3 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 4 018.5 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 23 268.3 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 3 464.4 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 43 025.1 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 73 167.3 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 100.0%), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 4.1%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 22 503.7 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 50 590.2 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა 56 280.3 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 53 367.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 3.0%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 243 657.5 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (249 353.1 ათასი ლარი) 97.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 13.8%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 656 649.3 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (657 174.4 ათასი ლარი) 99.9%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 37.2%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 340 032.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური დახმარებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 151 186.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 120 975.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამები - აღნიშნული მიზნით ჯამურად მიიმართა 32 709.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.4%-ს შეადგენს;

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 230 620.3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 228 442.1 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 99.1%-ს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 12.9%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 10.9%-ს შეადგენს.


„სხვა ხარჯების“ მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (მ.შ დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 12 573.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 161.3%-ს შეადგენს;
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 35 180.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.3%-ს შეადგენს;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 101 927.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 13 725.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.4%-ს შეადგენს;
- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 6 300.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.


2015 წლის I კვარტლის ხარჯების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

2014-2015 წლების I კვარტლების ფაქტიური შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო -

კომუნალური მეურნეობა, 707 -ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

შენიშვნა: 701* - გათვალისწინებული არ არის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დაფინანსებამ შეადგინა 414 821.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (440 838.2 ათასი ლარი) 94.1%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 22.2%-ს შეადგენს. მათ შორის:

- ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 92 854.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (109 302.3 ათასი ლარი) 85.0%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 6 298.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (8 568.6 ათასი ლარი) 73.5%-ია;
- ✓ ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 4 327.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 448.9 ათასი ლარი) 97.3%-ია;
- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 73 093.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (73 103.7 ათასი ლარი) 100%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ შეადგინა 231 406.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (236 542.8 ათასი ლარი) 97.8%;
- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 6 840.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (8 871.9 ათასი ლარი) 77.1%-ია.

- თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 151 616.0 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 146 980.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.9%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 7.9%. მათ შორის:

- ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 136 860.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (140 500.0 ათასი ლარი) 97.4%;
- ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 687.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (688.2 ათასი ლარი) 99.9%.
- ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 9 161.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 917.1 ათასი ლარი) 92.4%-ს შეადგენს.
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 271.4 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (510.7 ათასი ლარი) 53.1%-ია.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 231 500.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 213 923.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 11.4%. მათ შორის:

- ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 145 140.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (153 447.1 ათასი ლარი) 94.6%;
- ✓ სახანძრო სამაშველო სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 881.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3 900.0 ათასი ლარი) 22.6%.
- ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 23 479.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (26 499.7 ათასი ლარი) 88.6%-ს შეადგენს;
- ✓ სასაჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 24 937.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 373.0 ათასი ლარი) 98.3%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 19 485.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (22 280.5 ათასი ლარი) 87.5%-ს შეადგენს.

• ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 157 048.1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 156 050.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 8.3%. მათ შორის:

- ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 4 820.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (5 615.8 ათასი ლარი) 85.8%;
- ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 24 393.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (26 133.8 ათასი ლარი) 93.3%-ს შეადგენს;
- ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 1 560.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 750.0 ათასი ლარი) 89.2%-ს შეადგენს;
- ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართული იყო 245.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (352.8 ათასი ლარი) 69.5%;
- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 111 691.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (108 292.2 ათასი ლარი) 103.1%;
- ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 7 917.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (9 274.6 ათასი ლარი) 85.4%;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 238.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (261.5 ათასი ლარი) 91.1%-ს შეადგენს;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 5 183.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 367.4 ათასი ლარი) 96.6%-ს შეადგენს.

• გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 9 345.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6 766.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 72.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.4%. მათ შორის:

- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 2 894.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 158.2 ათასი ლარი) 69.6%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 3 872.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 186.8 ათასი ლარი) 74.7%-ს შეადგენს.


- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 7 649.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 7 362.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.4%. მათ შორის:
 - ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 4 399.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 682.0 ათასი ლარი) 119.5%-ს შეადგენს;
 - ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 2 807.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 790.0 ათასი ლარი) 74.1%-ს შეადგენს.
 - ✓ საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 155.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (177.0 ათასი ლარი) 87.7%-ს შეადგენს.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 181 226.0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 180 355.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 9.6%. მათ შორის:
 - ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 6 840.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (6 890.7 ათასი ლარი) 99.3%;
 - ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 130 238.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (130 425.6 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს;
 - ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 27 828.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (27 375.6 ათასი ლარი) 101.7%;
 - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 3 098.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 194.5 ათასი ლარი) 97.0%-ს შეადგენს;
 - ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 12 349.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 339.6 ათასი ლარი) 92.6%-ს შეადგენს.
- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 57 459.2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 48 870.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 85.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.6%. მათ შორის:
 - ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 17 753.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (21 282.9 ათასი ლარი) 83.4%;
 - ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 19 853.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (20 419.1 ათასი ლარი) 97.2%-ს შეადგენს;
 - ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 9 318.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 119.0 ათასი ლარი) 71.0%-ს შეადგენს;
 - ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 195.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (196.0 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
 - ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1 749.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 442.3 ათასი ლარი) 71.6%-ს შეადგენს.
- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 174 595.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 168 946.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 9.0%. მათ შორის:

- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 106 499.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (106 808.8 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს;
- ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 4 682.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4 855.9 ათასი ლარი) 96.4%;
- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 25 240.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (27 046.1 ათასი ლარი) 93.3%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 10 342.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 865.8 ათასი ლარი) 95.2%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 22 183.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 018.7 ათასი ლარი) 88.7%-ს შეადგენს.

• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 526 164.7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 526 551.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 28.1%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 559.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (571.0 ათასი ლარი) 97.9%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 340 094.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (340 107.3 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 153 845.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (154 067.7 ათასი ლარი) 99.9%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 2 487.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 501.5 ათასი ლარი) 99.4%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 21 292.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (17 631.1 ათასი ლარი) 120.8%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 8 272.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 286.1 ათასი ლარი) 73.3%-ს შეადგენს.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ კრილში



საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 30 318.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 24 316.1 ათასი ლარი.

ლარებში

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაგების მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
საქართველოს მთავრობის კანცელარია		10,000.0	10,000.0	10,000.0	-
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N3 06.01.15.	ადრიატიკის ზღვაში, ბორან „ნორმან ატლანტიკზე“ ტრაგიკულად დაღუპული მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის, ომარ კარტოზიას (მამა ილია) დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად გარდაცვლილის ოჯახის დახმარება	10,000.0	10,000.0	10,000.0	0.0
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		216,000.0	216,000.0	216,000.0	-
საქართველოს მთავრობის განკარგულება N30 15.01.15.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონში მცხოვრები 108 ოჯახის ზამთრის პერიოდში ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით (თითოეულ ოჯახზე - 2 000 ლარი)	216,000.0	216,000.0	216,000.0	0.0
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		14,853,473.6	14,853,473.6	14,853,473.6	-
საქართველოს მთავრობის განკარგულება N38 20.01.15.	კომპანია „Microsoft“-ის ლიცენზიების შესყიდვის მიზნით	14,853,473.6	14,853,473.6	14,853,473.6	0.0
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		900,000.0	213,800.0	118,665.9	95,134.1
საქართველოს მთავრობის განკარგულება N142 05.02.15.	საქართველოს მასშტაბით სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის განხორციელებისათვის საჭირო საქონლის, მომსახურების შესყიდვისა და შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით	900,000.0	213,800.0	118,665.9	95,134.1
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		2,597,464.4	565,579.0	564,531.2	1,047.8
საქართველოს მთავრობის განკარგულება N10 15.01.15.	საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, პირდაპირი ანგარიშსწორების გზით, იურიდიული კომპანიებისა და სისხლის სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის, სათანადო ცოდნის მქონე ექსპერტების მიერ საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს საექსპერტო დაწესებულებებში შესაბამისი კვლევების ჩატარების, მათ ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადასახადების დასაფინანსებლად	1,546,084.4	325,414.4	324,367.4	1,047.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N596 19.03.15.	სახელმწიფოს საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების წარმოების და უცხო ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით სახელმწიფოს წარმომადგენლობების განხორციელების მიზნით, იურიდიული კომპანიებისგან იურიდიული მომსახურების შესყიდვისათვის და საქართველოს კანონმდებლობით მასთან დაკავშირებული გადასახადების დასაფინანსებლად	1,051,380.0	240,164.6	240,163.7	0.9
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო		61,000.2	61,000.2	33,275.2	27,725.0
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N28 28.01.15.	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით	27,725.0	27,725.0	0.0	27,725.0
საქართველოს	ქ. ათენში 2015 წლის 25-30 მარტს საერთაშორისო კონკურსში	33,275.2	33,275.2	33,275.2	0.0

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
პრემიერ-მინისტრის ბრძანება N92 19.03.15.	„EUROMATHS-2015“ საქართველოს მოსწავლეების მონაწილეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით				
საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო		98,097.0	98,097.0	70,221.0	27,876.0
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N03-ს 28.01.15.	ს ა ი დ უ მ ლ ო	70,221.0	70,221.0	70,221.0	0.0
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N04-ს 25.02.15.	ს ა ი დ უ მ ლ ო	27,876.0	27,876.0	0.0	27,876.0
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო		2,700,000.0	2,700,000.0	2,691,383.4	8,616.6
საქართველოს მთავრობის განკარგულება N104 02.02.15.	ა(ა)იპ - საქართველოს ძალოსნობის ეროვნულ ფედერაციას - ქ. თბილისში 2015 წლის 9-18 აპრილს, ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატის მაღალ დონეზე ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით	1,700,000.0	1,700,000.0	1,700,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N414 05.03.15.	ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას - ქ. თბილისში 2015 წლის 20-22 მარტს, ძიუდოში გრან-პრის ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით	1,000,000.0	1,000,000.0	991,383.4	8,616.6
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი		755,000.0	755,000.0	70,510.7	684,489.3
საქართველოს მთავრობის განკარგულება N189 12.02.15.	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით	755,000.0	755,000.0	70,510.7	684,489.3
საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები		8,127,000.0	5,688,000.0	5,688,000.0	-
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N7 12.01.15.	2015 წლის იანვარში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი დიდთოვლობისა და ძლიერი ყინვების გამო, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დარჩენილი მგზავრებისათვის საკვები პროდუქტებისა და სურსათის შეძენის მიზნით	50,000.0	50,000.0	50,000.0	0.0
